



2-2607/19
20-02-2019

საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 43-ე და 44-ე მუხლების შესაბამისად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმას 2019 წლისათვის და 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ოთარი დანელია

საქართველოს პარლამენტის აგრარულ
საკითხთა კომიტეტის საქმიანობის
ანგარიში

2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიები

შინაარსი

| | |
|---|-----------|
| 1. კომიტეტის მისია და ხედვა, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, საქმიანობის სტატისტიკა..... | 3 |
| 1.1.კომიტეტის მისია და ხედვა..... | 3 |
| 1.2.კომიტეტის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები..... | 4 |
| 1.3.კომიტეტის საქმიანობის სტატისტიკა..... | 5 |
| 2.კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა | 5 |
| 2.1.კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი კანონპროექტები..... | 6 |
| 2.2.კომიტეტის მიერ განხილული და მხარდაჭერილი საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები..... | 16 |
| 3. საპარლამენტო კონტროლი | |
| 3.1.კომიტეტის სახედამხედველო საქმიანობა..... | 19 |
| 3.2.გასვლითი სხდომები..... | 23 |
| 4. კომიტეტში გამართული შეხვედრები | |
| 4.1. კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრები და ვიზიტები..... | 24 |
| 4.2. სამუშაო შეხვედრები | 25 |
| 4.3.შეხვედრები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან | 27 |
| 5. კომიტეტის კვლევითი საქმიანობა | 28 |
| 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა..... | 28 |

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობას, საზოგადოების ჩართულობას ამ პროცესში, ასევე შიდა ორგანიზაციული პროცესების მართვას.

სანგარიშო პერიოდში კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი გამოხატული პრინციპი იყო სამოქალაქო საზოგადოების მიმართ თანამშრომლობის შესაძლებლობების შექმნა. კომიტეტი ღია იყო ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გასაზიარებლად და ქმნიდა შესაძლებლობას როგორც საკანონმდებლო საქმიანობის წარმართვის, ასევე, საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას მათი ჩართულობისთვის.

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - მხარდაჭერით შემუშავდა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

კომიტეტის მისია და ხედვა

) სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა და მისი განხორციელების ხელშეწყობა, როგორც საკანონმდებლო, ასევე საზედამხედველო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის გზით.

) აგრარულ სექტორში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული საზედამხედველო საქმიანობის

წარმართვა და ქვეყნის წინაშე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების კონტროლი.

კომიტეტის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მიზნები :

- აგრარული რეფორმების, სასურსათო უზრუნველყოფის, მიწის რესურსების, აგრარული განათლებისა და მეცნიერების, აგრომომსახურებისა და ფერმერთა საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება.
- ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოება/ჰარმონიზება, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიების განხორციელებაზე ეფექტიანი ზედამხედველობა და კანონმდებლობის აღსრულება.
- კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

ამოცანები:

- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და DCFTA-ით გათვალისწინებული რეგულაციების საკანონმდებლო უზრუნველყოფა (საკანონმდებლო ჰარმონიზაცია).
- საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებულ პრიორიტეტთა განხორციელებისათვის.
- საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, DCFTA-ით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი

- საბიუჯეტო ზედამხედველობის უზრუნველყოფა.
- კომიტეტის ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა არ ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, „არ მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) პრინციპების შესაბამისად.

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ კანონშემოქმედებითი საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიზნით გაიმართა კომიტეტის 23 სხდომა. განხილულია 125 საკითხი. აქედან 108 კანონშემოქმედებითი და 17 საზედამხედველო საქმიანობის კუთხით.

კომიტეტის წევრებმა საანგარიშო პერიოდში სამუშაო შეხვედრები გამართეს რეგიონებში. კომიტეტის წევრების მიერ სოფლის მოსახლეობასთან, ფერმერებთან, აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირებთან შეხვედრების დროს წამოჭრილი საკითხები განხილულ იქნა კომიტეტის სხდომებზე.

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა

აგრარულ საკითხთა კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში. ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა კანონპროექტებზე:

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“; საქართველოს ორგანული კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებით (კანონპროექტზე მიმდინარეობს

შეთანხმება სხვადასხვა უწყებებთან; კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ დანელია);

- „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი განვითარების შესახებ“ კანონპროექტის მიღების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპებისა და მიწის მდგრადი მართვის სახლმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების გამჭირვალე და ერთიანი სისტემის შექმნა;

-

- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“; კანონპროექტის მიღების მიზანია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განისაზღვროს რეგულირებადი პროფესიები - ვეტერინარი და ვეტერინარი

- ტექნიკოსი (კანონპროექტი განხილვის პროცესშია; კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ დანელია);

- „ქარსაფარი (მინდორდაცვითი ზოლების) შესახებ“; კანონპროექტის მიღების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ქარსაფარი ზოლების აღდგენის, გაშენების, მოვლისა და დაცვის ხელშეწყობა, ქარით გამოწვეული ნიადაგის ეროზიული პროცესების თავიდან აცილება (კანონპროექტი განხილვის პროცესშია; კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია აგრარულ საკითხთა კომიტეტი);

კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი კანონპროექტები

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტს - „სივრცითი

მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტებს.

კანონპროექტის მიზანი იყო სივრცითი მოწყობის, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობის უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია, ასევე, ცალკეული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების გამარტივება და ტრანსფარენტულობა, ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტების კანონის ფორმაში მოქცევა და მათთვის სტაბილურობის შენარჩუნება. კანონპროექტი მიმართულია იმ ნაკლოვანებების დაძლევისა და დეფიციტების შევსებისაკენ, რომელიც გამოკვეთილია მისი შემუშავების მიზეზებში. ის ქმნის ისეთ საკანონმდებლო საფუძვლებს, რომელიც უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკუთარი უფლებამოსილების სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად განხორციელებას. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, განისაზღვრა საკუთრივ „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის“ ძირითადი მიზნები და ამოცანები საქართველოს მთლიანი ტერიტორიისა და მისი ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგება საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შემუშავებული სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით; ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა, სივრცითი მოწყობის, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისა და მშენებლობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს, ბუნებრივი რესურსების, კლიმატისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა; შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ მდგრადობასთან, საიმედოობასთან, სიმტკიცესთან, სეისმომდეგობასთან, ცეცხლმდეგობასთან, ენერგოეფექტიანობასთან და ხმაურისაგან დაცვასთან დაკავშირებით ძირითადი მოთხოვნების დადგენა; ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფა, სამშენებლო საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება და

მშენებლობის ხარისხის ამაღლება; მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების გამარტივებისა და სამშენებლო ზედამხედველობის ეფექტიანობის ამაღლების გზით სამართლებრივი უსაფრთხოების და სტაბილური საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა. ასევე საქართველოში სივრცითი მოწყობის, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისა და მშენებლობის სფეროს კანონმდებლობის ევროპულ და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტებს: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

პროექტის შემუშავების მიზანი იყო მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეგულაციების ცვლილება და ამ კატეგორიის გადამხდელთათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალ მოდელზე გადაყვანა, საჭაერო ფრენებთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურების დღგ-გან გათავისუფლება, ეტლის მომხმარებელი პირის მიერ ადაპტირებული ავტომანქანის იმპორტის გათავისუფლება აქციზის გადასახადისგან, გადასახადის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ცალკეული ნორმის დაზუსტება.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

პროექტის მიზანი იყო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცება.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტებს: „პროფესიული განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;

პროექტის მიზანი იყო ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა. კერძოდ, პროფესიული განათლების მორგება შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან და პირის მომზადება დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარება, არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნა, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის განვითარება; პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განვითარება; შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით; პროფესიული

განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა; ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარება; პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა;

➤ კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა (2018-2020)“; მინისტრების გამოსვლებში ყურადღება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ - იმ მიმართულებებზე გაამახვილდა, რომლებიც მათი სამინისტროების მოქმედების სფეროს ეხებოდა.

➤ კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრების: ირაკლი კობახიძის, თამარ ჩუგოშვილის, ირინე ფრუიძის, გიორგი კახიანის, ანრი ოხანაშვილის, ეკა ბესელიას, მამუკა მდინარაძის, არჩილ თალაკვაძის, ირაკლი სესიაშვილის, ირაკლი ბერაიას, გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტებს.

პროექტის მიღების მიზანი იყო: პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი და ეფექტური კანონმდებლობის შექმნის შესაძლებლობას; პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობა და არსებული ხარვეზების დროული და ეფექტური გამოვლენის შესაძლებლობა; პარლამენტის სტრუქტურის დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს საპარლამენტო საქმიანობის გაჯანსაღებას; საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხების სრულყოფა; პარლამენტთან

დაკავშირებული რეგულაციების სისტემური ერთიანობის უზრუნველყოფა, რეგლამენტიდან გამომდინარე პარლამენტთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანა და საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრების: კახაბერ კუჭავას, ზაზა ხუციშვილის, ენძელა მაჭავარიანის და გელა სამხარაულის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებს: „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავების მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე“ კონვენციით(CITES) განსაზღვრული საკითხების ასახვა. კანონპროექტმა განსაზღვრა „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის და ზღვიდან ინტროდუქციის, ასევე ასეთი ნიმუშებით ქვეყნის ტერიტორიაზე ვაჭრობის პირობები, საერთაშორისო ვაჭრობის გამონაკლის შემთხვევები, ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვების და წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის წესები და პირობები, განისაზღვრა რეტროსპექტიული ნებართვს გაცემის პირობები, ნებართვის მფლობელების ვალდებულებები. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტის მიზანი იყო კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობებით ვაჭრობის კუთხით დაწესებული რეგულაციების დარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმების რაჩირება ნიმუშების ჯგუფების მიხედვით, რათა

სანქციების დაკისრება კანონმდებლობის დარღვევისათვის მოხდეს დარღვევის სიმძიმის შესაბამისად.

„სისხლის სამართლის კოდექსში“ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის მიზანი იყო ველური ბუნების ობიექტებით არალეგალური ვაჭრობის შესახებ გაეროს 2015 და 2017 წლების რეზოლუციებით განსაზღვრული ვალდებულებების ასახვა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის შესაბამისად.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“; განიხილა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენება - „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“

კანონპროექტის მიღების მიზანი იყო 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცება, რომელიც მთლიანად მოემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას, მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში. 2019 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განისაზღვრა 4.5%-ით. მომდევნო წლებში ეტაპობრივად იზრდება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და 2020 წელს შეადგენს 5,0%-ს, 2021 წელს 5,5%-ს, ხოლო 2022 წელს - 6,0%. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 12 863.7 მლნ. ლარით განისაზღვრა, მათ შორის: შემოსავლები - 10 487.7 მლნ. ლარი; საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 9 645.0 მლნ. ლარს

შეადგენს, რაც მშპ-ს 21,4%-ია. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 11696.2 მლნ. ლარით განისაზღვრა.

რაც შეეხება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მისთვის გამოყოფილია 338,900.0 ლარი, საიდანაც საბიუჯეტო სახსრებია 312,000.0 მლნ. ლარი, დანარჩენი დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამებია. სამინისტროს მიმართულებებია: სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა; ერთიანი აგროპროექტი (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა; შეღავათიანი აგროკრედიტები; აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები; დანერგე მომავალი და სხვ.); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში; ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია და სხვ.); მევენახეობა-მელვინეობის განვითარება; სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედობა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები; სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა - 17.772.0 ლარი; შეღავათიანი აგროკრედიტებისათვის - 49.000 ლარი; აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები - 8.000.0 ლარი; პროგრამა - დანერგე მომავალი - 13.000 ლარი; ქართული ჩაი - 500.0 ლარი; სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედობა - 67.986.0 ლარი; მევენახეობა-მელვინეობის განვითარება - 13.830.0 ლარი; სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება - 6.542.0 ლარი; ერთიანი აგროპროექტი - 96.890.0 ლარი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები - 6,484.0 ლარი; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა - 76,700.0 ლ

- კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი - „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

კანონის პროექტის ძირითადი არსი იყო საქართველოში რძის და რძის ნაწარმის განვითარების ხელშეწყობის მიზანშეწონილობა. კერძოდ, საქართველოში წარმოებული ნატურალური რძის და ამ რძის ნაწარმის გათავისუფლება დღე-სგან ჩათვლის უფლებით. მოქმედი კანონმდებლობით, დღე-სგან თავისუფლდება მხოლოდ 2 ლიტრზე მეტი პირველად საფუთავებში ჩასხმული რძე (2 ლიტრამდე პაკეტებში განთავსებულ ნატურალურ რძეს ეცვლება სასაქონლო კოდი, როს გამოც, მის მიწოდებაზე არ ვრცელდება დღე-ში არსებული საგადასახადო შეღავათი) და საქართველოში წარმოებული ყველი. კანონპროექტის მიხედვით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს წლიურად შესაძლებელია, დააკლდეს 35 მლნ. ლარი. კომიტეტზე გამოითქვამოსაზრება, რომ არ არ შეიძლება სახელმწიფო სულ იყოს სუბსიდირების პროცესში, მათ შორის იმ მიმართულებებში, რომლებსაც შეუძლია მდგრადი განვითარება, კომიტეტმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შესთავაზა დამატებითი კონსულტაციების გამართვა, რადგან არ იყო წარმოდგენილი დამაჯერებელი არგუმენტები თუ რამდენად შეუწყობს ხელს წარმოდგენილი ცვლილება რძის წარმოების განვითარებას და შესაბამისად მესაქონლეობის განვითარებას. წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, გაიფდება, თუ არა დახლზე პროდუქტი? კომიტეტმა დამატებითი კონსულტაციების გამართვის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ - საკითხის განხილვა გადადო.

- საქართველოს პარლამენტის წევრების: ოთარ დანელიას და გია ჟორჟოლიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს - „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

პროექტის მიღების მიზანი იყო საკანონმდებლო ნორმის შექმნა, რომლის საფუძველზეც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისთვის შეიქმნება ინსტიტუციური საფუძველი სტიპენდიატების არჩევისათვის, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებისთვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაში ჩართვა.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტს - „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტის მიზანი იყო 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 262.5 მლნ ლარით.

- კომიტეტმა განიხილა და მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრის, ოთარ დანელიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტს - „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

კანონპროექტის მიზანი იყო საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარების ხელშეწყობა, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების შეუფერხებლად წარმოება და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარება, ქართული საწარმოების საქმიანობის ხელშეწყობა არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შევიდა კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში და კანონის 26-ე მუხლით და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით ამოქმედების ვადად განისაზღვრა - 2024 წლის 1 იანვარი, ნაცვლად 2019 წლის 1 იანვრისა. წარმოდგენილი ცვლილებით, ვალდებულება „ქართული ბრენდის“ წარმოებისას გამოყენებულ იქნეს არანაკლებ 85% საქართველოში მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული სპირტი და სპირტიანი სასმელის საწარმოებლად ნეიტრალური სპირტის

გამოყენების აკრძალვა, ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული მისცემს შესაძლებლობას ბრენდისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიებს, შეცვალონ თავიანთი საწარმოო პოლიტიკა და გაატარონ საჭირო ღონისძიებები.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრის, ოთარ დანელიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტს - „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის მიზანი იყო 2016 წელს დაწყებული რეფორმით დასახული მიზნის სრულად განხორციელება და ამ დროისათვის უკვე აპრობირებული, ქმედითი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად უფლების რეგისტრაციის სპეციალური წესი ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთებზე უფლებათა პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულებას და უზრუნველყოფს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მცდარი ან ურთიერთშეუსაბამო მონაცემების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. მიწაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის განხორციელებას ექნება ძლიერი ეფექტი, რაც დიდ სარგებელს მოუტანს როგორც საზოგადოებას, ისე სახელმწიფოს, ხელს შეუწყობს კერძო მესაკუთრის კეთილდღეობას და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. სათანადოდ შევსებული სარეგისტრაციო და საკადასტრო მონაცემთა ბაზა იქნება მიწის ეფექტურად მართვის, კერძოდ კი, მიწაზე საკუთრების უფლების დაცვის, მიწათსარგებლობის პოლიტიკის, სახელმწიფო საპრივატიზაციო საქმიანობისა და მიწის ბაზრის განვითარების საფუძველი. მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის დასრულება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მთავრობას, შეიმუშაოს სოციალური პროექტები, მიწის ადმინისტრირებისა და მიწათსარგებლობის ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტ ეკონომიკურ ზრდას სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის სექტორებში. კანონპროექტის შესაბამისად, კანონის მოქმედების ვადა 2019 წლის 1

ივლისამდე გაგრძელდება, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ გაგრძელდეს მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში სისტემური და სპორადული წესით მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი, ამავე კანონით დადგენილი სპეციალური წესისა და შეღავათების გათვალისწინებით.

**კომიტეტის მიერ განხილული და მხარდაჭერილი საერთაშორისო შეთანხმებები
და ხელშეკრულებები**

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ შეერთებისთვის წარმოდგენილი „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას. კონვენცია ადგენს ყოვლისმომცველი საბაჟო პროცედურების სტანდარტებს, რომელიც ხელს უწყობს კანონიერ ვაჭრობას და იმავდროულად უზრუნველყოფს საბაჟო შემოსულობებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით საბაჟო კონტროლის განხორციელებას. კონვენციასთან მიერთება ხელს შეუწყობს „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმების 67-ე მუხლის პირველი ნაწილის (i) ქვეპუნქტში ასახული საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.
- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილ - „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმებას (ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა)“ ცვლილება ნომერი ორი“ პროექტის მიზანია ეკონომიკური მართვისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, გლობალური ბიზნეს-სტანდარტების საყოველთაო დანერგვა, სამიზნე სექტორებში კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტურად მართვა და მაღალი კომპეტენციის, ბაზარზე ორიენტირებული სამუშაო ადგილების

შექმნა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აქტივობები შემდეგი ექვსი მიმართულებით: კონფლიქტების შემსუბუქება და შერიგება; განათლება; ინფრასტრუქტურა; სოფლის მეურნეობა; კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა; გარემო.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმების (ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის)“ ცვლილება ნომერი სამი“ საგრანტო შეთანხმების მიზანია ეკონომიკური მართვისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, გლობალური ბიზნეს-სტანდარტების საყოველთაო დანერგვა, სამიზნე სექტორებში კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტურად მართვა და მაღალი კომპეტენცია, ბაზარზე ორიენტირებული სამუშაო ადგილების შექმნა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აქტივობები შემდეგი ექვსი მიმართულებით: კონფლიქტების შემსუბუქება და შერიგება განათლება; ინფრასტრუქტურა; სოფლის მეურნეობა; კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა; გარემო. საგრანტო შეთანხმების ცვლილება ითვალისწინებს არსებული საგრანტო თანხის გაზრდას 33,614,040 აშშ დოლარის ოდენობით (28,079,635 აშშ დოლარიდან 61,693,675 აშშ დოლარამდე), ასევე ჯამური საგრანტო თანხის გაზრდის შესაძლებლობას 22,285,060 აშშ დოლარით, 71,454,675 აშშ დოლარიდან 93,739,735 აშშ დოლარამდე). იცვლება ზემოხსენებული მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობებიც. კონფლიქტების შემსუბუქებისა და შერიგების მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებისთვის განსაზღვრული საგრანტო თანხა გაიზარდა 1,515,000 აშშ დოლარის ოდენობით, 2,500 000 აშშ დოლარიდან 4,015,000 აშშ დოლარამდე; ინფრასტრუქტურის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებისთვის განსაზღვრული საგრანტო თანხა გაიზარდა 7,250,000 აშშ დოლარის ოდენობით, 4,000,000 აშშ დოლარიდან 11,250,000 აშშ დოლარამდე; სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებისთვის განსაზღვრული საგრანტო თანხა გაიზარდა 3,200,000 აშშ დოლარის ოდენობით, 3,260,000 აშშ დოლარიდან 6,460,000 აშშ დოლარამდე. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მიმართულებით

განსახორციელებელი აქტივობებისთვის განსაზღვრული საგრანტო თანხა გაიზარდა 19,249,040 აშშ დოლარის ოდენობით, 12,072,000 აშშ დოლარიდან 31,321,040 აშშ დოლარამდე; გარემოს მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებისთვის განსაზღვრული საგრანტო თანხა გაიზარდა 2,400,000 აშშ დოლარის ოდენობით, 4,350,000 აშშ დოლარიდან 6,750,000 აშშ დოლარამდე.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „საქართველო - ჰონგ კონგ, ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებას

შეთანხმების მიზანი იყო საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონგ კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის პირობების განსაზღვრა და მხარეებს შორის პროდუქტებითა და მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობა. შეთანხმების თანახმად მხარეები აქტიურად ითანამშრომლობენ შემდეგი მიმართულებებით: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, საბაჟო პროცედურები და ვაჭრობის ხელშეწყობა, წარმოშობის წესები, გარემოს დაცვა და ვაჭრობა, ვაჭრობაში დაცვითი ზომები, ინტელექტუალური საკუთრება, კონკურენცია, დაფუძნება და სხვა. წარმოდგენილი შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთი მხრივ გაიზრდება სავაჭრო ბრუნვა მხარეებს შორის, ხოლო მეორე მხრივ ქართველ მეწარმეებს მიეცემათ შესაძლებლობა დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე მიაწოდონ საკუთარი პროდუქტი და მომსახურება მაღალი მსყიდველობითუნარიან სამომხმარებლო ბაზრისთვის.

საპარლამენტო კონტროლი

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი ახორციელებდა კონტროლს საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე. ამ მიზნით გაიმართა როგორც კომიტეტის სხდომები, ასევე გამოთხოვილი იქნა შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს მთავრობის სტრუქტურული ერთეულებიდან. კომიტეტი განსაკუთრებით ნაყოფიერად თანამშრომლობდა გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. კომიტეტი წინასწარ ამზადებდა საზედამხედველო საქმიანობის გეგმას, რომელიც თანხმდებოდა სამინისტროსთან და კომიტეტი ზედამხედველობას ამ გეგმაზე დაყრდნობით ახორციელებდა. გეგმის შესაბამისად განსაზღვრული იყო თითოეული საკითხის მოსმენის თარიღი, საქართველოს კონსტიტუციისა და რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად;

კომიტეტმა საზედამხედველო საქმიანობის კუთხით 17 საკითხი განიხილა, რომელთა დიდი ნაწილი უკავშირდებოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში არსებული უწყებების საქმიანობას და პროექტების განხორციელების მიმდინარეობას. აღნიშნული საკითხების განხილვას კომიტეტის 13 სხდომა დაეთმო:

- 2018 წლის 16 თებერვლის კომიტეტის სხდომაზე, განხილული იქნა:
 - აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2018 წლის საგაზაფხულო სესიის საზედამხედველო საქმიანობის გეგმა (მომხსენებელი: ოთარ დანელია - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე);
 - აგრარულ საკითხთა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2017-2020) (მომხსენებელი: ოთარ დანელია - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე);
- 2018 წლის 26 თებერვალის კომიტეტის სხდომაზე, მოსმენილი იქნა ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (მომხსენებელი: ლევან დავითაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი);
- 2018 წლის 12 მარტის კომიტეტის სხდომაზე, მოსმენილი იქნა ინფორმაციები:
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
 - ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მომხსენებელი: ნოდარ კერესელიძე -

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე);

- 2018 წლის 16 აპრილის კომიტეტის სხდომაზე, მოსმენილი იქნა ინფორმაცია ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში (მომხსენებელი: ნოდარ კერესელიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე);
- 2018 წლის 17 აპრილის კომიტეტის გასვლით სხდომაზე, რომელიც გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მოსმენილი იქნა ინფორმაციები:
 - სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების და სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების მიმდინარების შესახებ (მომხსენებელი: ნოდარ კერესელიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე);
 - დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მავნებლის (აზიური ფაროსანა) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების თაობაზე (მომხსენებელი: სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტია);
 - საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობის ეფექტურობის შესახებ (მომხსენებელი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი შალვა კერესელიძე);
- 2018 წლის 10 მაისის სხდომაზე, მოსმენილი იქნა ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“ (მომხსენებელი: გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე);
- 2018 წლის 28 მაისის სხდომაზე, განხილული იქნა აგრარულ საკითხთა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2017-2020) (მომხსენებელი: ოთარ დანელია - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარ);

- 2018 წლის 7 ივნისს კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ და საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ (მომხსენებელი: გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე);
- 2018 წლის 11 სექტემბერს კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“ მომხსენებელი: გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.
- 2018 წლის 24 სექტემბერს კომიტეტმა განიხილა 2018 წლის საშემოდგომო სესიის საზედამხედველო საქმიანობის გეგმა (მომხსენებელი: ოთარ დანელია - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე).
- 2018 წლის 24 სექტემბერს კომიტეტმა მოისმინა ინფორმაცია: აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გაწეული საქმიანობის შესახებ - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში. (მომხსენებელი: გელა ხანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე).
- 2018 წლის 15 ოქტომბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში - სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ექვსი თვის შესრულების შესახებ; (მომხსენებელი: ნოდარ კერესელიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე).
- 2018 წლის 19 ნოემბერს კომიტეტმა მოისმინა ინფორმაცია - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. (მომხსენებელი: ლევან მეხუზლა - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე).

კომიტეტის გასვლითი სხდომები

2018 წლის 17 აპრილს აგრარულ საკითხთა კომიტეტმა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში, კომიტეტის გასვლითი სხდომა ჩაატარა, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია ხელმძღვანელობდა. კომიტეტის სხდომას კომიტეტის წევრებთან ერთად სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის და რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები დაესწრნენ. კომიტეტის სხდომაზე, სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების და სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების შესახებ ისაუბრეს. სტრატეგია დეპუტატებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ წარუდგინა. მოისმინეს ინფორმაცია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მავნებლის (აზიური ფაროსანა) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების თაობაზე, დეპუტატებს ინფორმაცია სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ ზურაბ ლიპარტიამ წარუდგინა. ასევე მოისმინეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობის ანგარიში, რომელიც წარმოადგინა სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა, შალვა კერესელიძემ.

კომიტეტის წევრებმა გაფართოებული შეხვედრა გამართეს აბაშის მუნიციპალიტეტში არსებულ მავნებლის საწინააღმდეგო საკოორდინაციო შტაბში, სადაც დეპუტატები აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობას გაეცნენ.

კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრები და ვიზიტები

- 2018 წლის 16 იანვარს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია და საქართველოს პარლამენტის წევრი მახირ დარზიევი თურქულ კომპანია „გუბრეთაშის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ. კომპანიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ საქართველოში თავიანთი წარმოების განვითარებით, ფერმერებთან საგანმანათლებლო და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებით. იმედი გამოითქვა, რომ მსგავსი პროექტების განხორციელება საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.
- 2018 წლის 25 იანვარს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია ბერლინში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის, ქრისტიან შმიდტის სახელით გამართულ მიღებას დაესწრო. შეხვედრა „მწვანე კვირეული 2018“-ის (Grüne Woche 2018) მიმდინარეობის ფარგლებში გაიმართა.
- 2018 წლის 28 თებერვალს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია PABSEC-ის მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომას დაესწრო, განხილული იქნა მუდმივმოქმედი კომიტეტის საპროცედურო საკითხები, რეგლამენტსა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები.
- 2018 წლის 13 აპრილს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, მარიამ ჯაში მარტვილის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხუნწის საჯარო სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეხვდნენ. მარიამ ჯაშმა მოსწავლეებს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები გააცნო. მან ისაუბრა სახელმძღვანელოების მიმართულებით განსახორციელებელ ცვლილებებზე, ასევე სკოლის უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე ისაუბრა. ოთარ დანელია განათლების მიღების მნიშვნელობასა და პროფესიის სწორად არჩევის თაობაზე ისაუბრა მოსწავლეებს. სკოლის მოსწავლე-პედაგოგებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა. დეპუტატებმა მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს და სწავლის პროცესში წარმატებები უსურვეს.
- 2018 წლის 14 მაისს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია ჩინური კომპანია „**Emeishan Gongping Environmental Technology**“-ის წარმომადგენლებს

შეხვდა. შეხვედრაზე, ოთარ დანელიას კომპანიის დამფუძნებლებმა საბურავების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის პროექტი გააცნეს. პროექტის მიხედვით, საწარმოს მშენებლობა მხარდაჭერის შემთხვევაში, უახლოეს პერიოდში იგეგმება. კომპანია პირველ ეტაპზე 25 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას და ასევე, მეორე ფაზაზე დასავლეთ საქართველოში ანალოგიური გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობას გეგმავს.

- 2018 წლის 26 ივნისს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია „შიფტ გლობალ კომპანის“ (Shift Global company) კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ასევე, საქართველოს აგრარული სექტორის პოტენციალზე და ორ ქვეყანას შორის ამ კუთხით მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს.
- 2018 წლის 26 ივნისს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ვახტანგ ყოლბაიას და სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვალერი ბასარიას შეხვდა. შეხვედრაზე, განსაკუთრებული ყურადღება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის პრობლემური საკითხების განხილვას დაეთმო.
- 2018 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ოთარ დანელია და აბაშის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან მაკალათია საუდის არაბეთის სამეფოს დელეგაციის წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მხარეებმა, ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერებაზე და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. ოთარ დანელიას განცხადებით, დელეგაციის წარმომადგენლების ძირითად ინტერესს სოფლის მეურნეობა, ეკოტურიზმი და აგროტურიზმი წარმოადგენს. ისინი ამ მიმართულებით აბაშის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სტუმრები იანვარში აბაშის მუნიციპალიტეტს ეწვევიან, სადაც დაგეგმილი პროექტების პრეზენტაცია მოეწყობა. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დელეგაციის წარმომადგენლები სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში

მომავალ წელს დაგეგმილ ბიზნეს ფორუმზე მიიწვია, სადაც მათ ქართული ბიზნესგარემოს უკეთ გაცნობის შესაძლებლობა მიეცემა.

სამუშაო შეხვედრები

- 2018 წლის 23 აპრილს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები - გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWW); გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ); აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (Transparency); გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO); სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD); საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია; ფერმერთა ასოციაცია; ფერმერთა პროფკავშირების ასოციაცია. ოთარ დანელიამ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კანონპროექტის ზოგადი დებულებები გააცნო. მანვე აღნიშნა, რომ კანონპროექტი შემუშავების პროცესშია და კონსულტაციები იმართება სხვადასხვა ორგანიზაციის, სფეროსა თუ სექტორის წარმომადგენლებთან და ეს შეხვედრები ხელს შეუწყობს კანონპროექტის საბოლოო კონდიციამდე მიყვანას.
- 2018 წლის 23 აპრილს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა საქართველოს ბიზნესომბუდსმენტთან, საქართველოს ბანკების ასოციაციის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე იმსჯელეს ერთი მხრივ იმ

პრობლემებზე, რომელიც მორატორიუმის ფარგლებში შეიქმნა, რათა შესაბამისი ცვლილებების ინიცირება მოხდეს და მეორე მხრივ, ისაუბრეს იმ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ ორგანულ კანონპროექტს შეეხება. „მორატორიუმის პირობებში შეიქმნა გარკვეული პრობლემები საბანკო სექტორთან მიმართებაში და ჩვენ გვინდა, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ეს პრაქტიკა, რათა თავიდან იყოს აცილებული ნებისმიერი რისკი, რომელიც მათ შორის, შეიძლება ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე აისახოს. დაახლოებით 200 მლნ ლარამდე არის პრობლემატური სესხები, რომლებიც შესაძლებელია ითქვას, რომ მორატორიუმის გამო შეფერხდა. ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები შევიდეს მორატორიუმში და, ბუნებრივია, გათვალისწინებული იქნეს ეს გარემოებები, რათა ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ფინანსური რესურსი“, - განაცხადა ოთარ დანელიამ. რაც შეეხება წარმოდგენილ კანონპროექტს, იგი გულისხმობს ფიზიკურ პირ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების აკრძალვას, თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქეებზე არანაირი შეზღუდვა არ არის. „ჩვენ ასევე სერიოზულად ვიმსჯელებთ რომ სამომავლოდ, რეტროაქტიურად ანუ უკანა ქმედებებით ვალდებულებები დაეკისროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ მიწას და შესაბამის სანქციებზეც იქნება საუბარი“, - აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ. შეხვედრაზე მოისმინეს ყველა მხარის შენიშვნები და წინადადებები კანონპროექტთან მიმართებაში.

შეხვედრები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2018 წლის 25 იანვარს კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელს საქართველოში, რაიმუნდ იელეს შეხვდა. შეხვედრაზე აზიურ ფაროსანასა და სასურსათო უსაფრთხოების

საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ასევე, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის პერსპექტივები და ძირითადი მიმართულებები განიხილეს. დასასრულს, ხაზი გაესვა პარლამენტის მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

კომიტეტის კვლევითი საქმიანობა

კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა პარლამენტის აპარატის კვლევით დეპარტამენტთან. დამუშავდა დიდი მოცულობის ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების საკითხები როგორც პოსტსოციალისტურ, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიხედვით. მოძიებულ იქნა და დამუშავდა ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში ფერმერული მეურნეობების სამართლებრივი მოწესრიგების და ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების საკანონმდებლო ბაზის შესახებ.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა მოსახლეობასთან ურთიერთობა. კომიტეტი სისტემატურად აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს კომიტეტში შემოსულ წერილებსა და განცხადებებს. საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სახელზე შემოსულია 169 განცხადება, აქედან მოქალაქეთა 64, ოფიციალური 105. ყველა განცხადება კომიტეტის მიერ კონტროლზეა აყვანილი, შესწავლილი, განხილული და რეაგირების მიზნით გადაცემულია შესაბამის უწყებებისათვის.

საქართველოს პარლამენტის
აგრარულ საკითხთა კომიტეტის
სამოქმედო გეგმა 2019 წლისათვის

2019

სარჩევი

| | |
|--|-----|
| <u>შესავალი</u> | 3 |
| <u>მიმოხილვა</u> | 3 |
| <u>აგრარულ საკითხთა კომიტეტის სტრატეგია</u> | 6 |
| <u>აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019 წლისათვის</u> | 14 |
| <u>კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა</u> | 14 |
| <u>კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა</u> | 233 |
| <u>კომიტეტის გარე კომუნიკაცია და გამჭვირვალობა</u> | 37 |
| <u>კომიტეტის შიდა ორგანიზაციული საქმიანობა</u> | 41 |
| <u>სამოქმედო გეგმის განხორციელება და მონიტორინგი</u> | 45 |
| <u>დანართები 1-4</u> | 46 |

შესავალი

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის დაძლევას. წინამდებარე დოკუმენტი ამ მიზნების განსახორციელებლად შემუშავებულ მოქმედებათა სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას წარმოადგენს.

სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა კომიტეტის მიერ 2015-2016 წლებში დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები და იგი ეფუძნება კომიტეტის მიმდინარე საჭიროებების ანალიზის შედეგებს.

მიმოხილვა

სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი ტრადიციული დარგი. მიუხედავად ამისა, აგრარული სექტორი განვითარების ტემპით ჩამორჩება ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებს. ამავე დროს იგი იყო და რჩება დასაქმების უმთავრეს სეგმენტად. საქართველოში მოსახლეობის 42.8 პროცენტი სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ერთობლივი სამუშაო ძალის 43 პროცენტი. სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თვითდასაქმებულია და თავს ნატურალურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციით ირჩენს. შრომის მწარმოებლურობა დაბალია.

2013 წლიდან სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულება გახდა, რაზეც სახელმწიფოს მიერ სექტორის მკვეთრად გაზდილი დაფინანსება და მიმდინარე რეფორმები მეტყველებს. 2013-15 წლებში გატარებული ქმედითი რეფორმების შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდამ შეადგინა 30,6 პროცენტი. მათ შორის მემცენარეობაში წარმოება გაიზარდა 55,4 პროცენტით, მეცხოველეობაში კი - 10,8 პროცენტით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ზრდა, რომელიც გაიზარდა 76,2 პროცენტით, რამაც მნიშვნელოვნად უზრუნველყო ამ დარგის პროგრესი.

ინსტიტუციური განვითარების მიმართულებები

საქართველოში სოფლის მეურნეობის ინსტიტუციური განვითარება ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას, აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და სამთავრობო პროგრამებს.

სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა მნიშვნელოვანი კანონები:

-) 2012 წელს - საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“
-) 2013 წელს - საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“
-) 2014 წელს - საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“
-) 2016 წელს - კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“
-) 2017 წელს - კანონი „სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“
-) 2017 წელს შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს კანონებში: „ვაზისა და ღვინის შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე და სხვ.

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შედეგად მნიშვნელოვნად გააუმჯობესდა აგრარულ-ინდუსტრიული სფეროს ინსტიტუციური გარემო.

2013 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ - სხვა მიმართულებებთან ერთად, განსაზღვრავდა პრიორიტეტულ მიმართულებებს სოფლის მეურნეობის სფეროში.

2016-2020 წლის სამთავრობო პროგრამა „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ (4 პუნქტიანი გეგმა), პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებს მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობას, სოფლის მეურნეობის განვითარებას და მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრირებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით შემუშავდა საქართველოს ორი მნიშვნელოვანი სტრატეგიული გეგმა:

-) საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020)
-) საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია და 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმა

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით 2015-2020 წლების ძირითადი მიმართულებებად განისაზღვრა:

1. აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
2. აგრარული სექტორის ინსტიტუციური განვითარება;
3. მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება;
4. რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი; სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
6. სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
7. კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიით, განისაზღვრა სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება:

1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა;
2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე;
3. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

აგრარული სექტორის და სოფლის განვითარების სფეროში პროგრამები ხორციელდება მრავალი მიმართულებით. მათ შორისაა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების, მეღვინეობა-მევენახეობის სფეროში ვენახების კადასტრის, ღვინის პოპულარიზაციის და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობი საქმიანობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის პროგრამები; ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა; „გაუდაზნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა 2014-2022“, სამელიორაციო-ირიგაციულ პროექტები; ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში შემავალი ისეთ პროგრამები, როგორცაა „შეღავათიანი კრედიტის“, „აგროდაზღვევის“, „დანერგე მომავალი“, „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის“, „აგროწარმოების ხელშეწყობის“ და სხვა პროგრამები.

ევროკავშირთან ინტეგრაცია და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

აგრარულ საკითხთა კომიტეტი ჩართულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში. სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ, რომელიც ითვალისწინებს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროებში საქართველოს

კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებისა და ნორმების დანერგვას, ევროპის ქვეყნებთან ინსტიტუციურ ჰარმონიზაციას და მაქსიმალურ მიახლოებას, რაც ხელს უწყობს როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებას, ასევე სოფლის მოსახლეობის და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ეკისრება რიგი საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სოფლის მეურნეობის პროგრამის განვითარების (ENPARD) ფარგლებში სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებების და კანონების ჰარმონიზების ეტაპობრივი განხორციელება და სოფლის განვითარების ინსტიტუციური ხელშეწყობა. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ევროკავშირს აქვს მრავალი რეგულაცია, დირექტივა, გადაწყვეტილება და რეკომენდაცია. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას ევროკავშირთან საკანონმდებლო ჰარმონიზაცია და მის განხორციელებაზე ზედამხედველობა წარმოადგენს.

კომიტეტის საქმიანობა ითვალისწინებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (UN SDGs) და ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებული ელემენტის - ეკონომიკური ზრდის, სოციალური ინკლუზიისა და გარემოს დაცვის განხორციელებაზე აგრარულ სფეროში.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის სტრატეგია

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში, რომლის თანახმად კომიტეტი განახორციელებს საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობას, უზრუნველყოფს კომუნიკაციას და საზოგადოების ჩართულობას ამ პროცესში და შიდა ორგანიზაციული პროცესების მართვას.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა აგრარულ საკითხთა კომიტეტის დებულება და განისაზღვრა კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- ⌋ აგრარული რეფორმების, სასურსათო უზრუნველყოფის, მიწის რესურსების, აგრარული განათლებისა და მეცნიერების, აგრომომსახურების და ფერმერთა საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება
- ⌋ აგრარულ სექტორში მყარი საკანონმდებლო ბაზის შექმნა
- ⌋ აგრარულ სექტორში რეფორმების გატარების, აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების, მისი დარგების აღორძინებისა და დინამიური განვითარების ხელშეწყობა.

კომიტეტის მისიას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და მისი განხორციელების ხელშეწყობა, როგორც საკანონმდებლო, ასევე საზედამხედველო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის გზით.

კომიტეტის ხედვაა აგრარულ სექტორში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული საზედამხედველო საქმიანობის წარმართვა და ქვეყნის წინაშე აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

სტრატეგიულ დოკუმენტში აღწერილია კომიტეტის საქმიანობის ოთხი მიმართულება და 13 ამოცანა. კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციების წარმატებით განხორციელების მიზნით, შემუშავდა კომიტეტის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტის ამოცანებს და ღონისძიებებს 2019 წლისათვის.

სტრატეგიის მართვისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი წარმოადგენს კომიტეტის მიზნების წარმატებით განხორციელების გზას.

წინამდებარე სტრატეგია ემყარება კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ მიმართულებებს და უფლებამოსილებებს და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის განვითარების სამთავრობო სტრატეგიებს, ასევე ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ამოცანებს და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს.

კომიტეტის ხედვებიდან და მისიიდან გამომდინარე, სტრატეგიაში მოცემულია ოთხი მიზანი და 14 ამოცანა; ხოლო სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კომიტეტის ღონისძიებებს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად 2019 წლის პერიოდისათვის.

სტრატეგიული მიზანი 1. აგრარული პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა

ამოცანა 1.1. აგრარული რეფორმების ინსტიტუციონალიზაცია

კომიტეტი განსაზღვრავს აგრარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ქმნის აგრარული რეფორმების, სასურსათო უზრუნველყოფის, მიწის რესურსების, აგრარული

განათლებისა და მეცნიერების, აგრომომსახურებისა და ფერმერთა საკითხებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას.

ამოცანა 1.2. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითა და DCFTA-ით გათვალისწინებული რეგულაციების საკანონმდებლო უზრუნველყოფა (საკანონმდებლო ჰარმონიზაცია)

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს აგრარულ სექტორში კანონმდებლობის ძირითადი ორიენტირია, რომლის შესაბამისად იგეგმება განსახორციელებელი ღონისძიებები, რაც ევროკავშირთან ინსტიტუციურ მიახლოებას უწყობს ხელს. ევროკავშირის ძირითადი დირექტივები, რეგულაციები, გადაწყვეტილებები არის შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში პრიორიტეტი, რომელიც მომდევნო 10-12 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. პრიორიტეტებზე აქცენტირება გაზრდის საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობას და ექსპორტის შესაძლებლობებს;

აგრარულ სფეროში რეფორმებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან განხორციელდება სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით.

ამოცანა 1.3. სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელებისათვის საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა

ქვეყნის აგრარული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებია: აგრარულ სექტორში წარმოების ეფექტიანობის ზრდა და მისი განვითარებისათვის მიმზიდველი და ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სასურსათო უსაფრთხოებისა და უვნებლობის უზრუნველყოფა, ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა და დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. იგი მიმართულია სოფლის გაძლიერებისაკენ და მოსახლეობისთვის ისეთი პირობების შექმნისკენ, რაც სოფლიდან მიგრაციას შეაჩერებს;

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში რეფორმების გატარების, აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების, მისი დარგების აღორძინებისა და დინამიური განვითარების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობას.

ამოცანა 1.4. საკანონმდებლო პროცესის ეფექტური მართვა, დაგეგმვა და მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა აგრარულ სფეროში ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების საკანონმდებლო უზრუნველყოფა განხორციელდება საპარლამენტო კომიტეტებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

კანონპროექტების დაგეგმვის, მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურების მართვისას აგრარულ საკითხთა კომიტეტი ხელმძღვანელობს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, პასუხისმგებლობის, ინკლუზიურობის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის აღიარებული პრინციპებით, საკანონმდებლო პროცესის გაუმჯობესებისა და აგრარული პოლიტიკის მიზნების სრულად განხორციელების მიზნით.

სტრატეგიული მიზანი 2. ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოება/ჰარმონიზირებასა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიების განხორციელებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და კანონმდებლობის აღსრულების პროცესის ხელშეწყობა

ამოცანა 2.1. საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი

აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ განხორციელდება სისტემატური ზედამხედველობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხების შესრულებაზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება საქართველოსთვის მისადაგებული მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებთან და ამოცანებთან თანხვედრაში, მათ შორის სასურსათო უსაფრთხოების, გაუმჯობესებული კვების მიღწევის, მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისა და ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესების მიმართულებით.

ამოცანა 2.2. სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიებით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელების შეფასება

კომიტეტის მიერ საზედამხედველო საქმიანობა ხორციელდება კანონების აღსრულებისა და შესაბამისი საზედამხედველო ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით

კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა დაეყრდნობა რეგულაციის გავლენის შეფასების (RIA), როგორც ხელისუფლების მიერ დასახული მიზნების მიღწევის ინსტრუმენტის გამოყენებას, რომლის საფუძველზე მოხდება საკანონმდებლო ცვლილებების და რეკომენდაციების შემუშავება. პირველ ეტაპზე რეგულაციის გავლენის შეფასება (RIA) მარტივი, შერჩევითი ფორმით შეიძლება განხორციელდეს. შერჩეული იქნება მნიშვნელოვანი კანონები და ქვენორმატიული აქტები, რომლებიც დაექვემდებარება შეფასების ანალიზს. ხანგრძლივადიან პერიოდში კი შესაძლებელი იქნება რეგულაციის გავლენის ანალიზის სრული ფორმატით გამოყენება და შეიქმნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღება.

კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის ეფექტიანობის გასაძლიერებლად განხორციელდება კადრების შემდგომი სპეციალიზაცია და სრულყოფა, განსაკუთრებით პოლიტიკის დაგეგმვისა და ზემოქმედების შეფასების სფეროში.

ამოცანა 2.3. საბიუჯეტო ზედამხედველობის უზრუნველყოფა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასახული მიზნებისა და პრიორიტეტების განხორციელება შეფასდება ხარჯების რაციონალურად გამოყენებისა და მიღწეული შედეგების მიხედვით. ამ პროცესში კომიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ამოცანა 2.4. საკანონმდებლო ზედამხედველობის პროცესების სრულყოფა

სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი ძალისხმევის გამოყენებას. კომიტეტი ასრულებს სხვადასხვა ჩართული მხარის კოორდინაციის როლს პრობლემების გადაწყვეტისა და მონიტორინგის უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით;

კოორდინაცია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში;

კომიტეტი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ზედამხედველობის პროცესის გამჭვირვალობას და მასში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, რომლებზეც რეგულაცია გავლენას ახდენს.

სტრატეგიული მიზანი 3. კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა

ამოცანა 3.1. კომიტეტის ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტი „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (Open Government Partnership) გლობალურ ინიციატივას 2015 წელს შეუერთდა. სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად, პარლამენტმა საკანონმდებლო ღიაობის სამოქმედო გეგმები შეიმუშავა (2015-2016, 2017), რომლითაც გაწერილი ვალდებულებებიც დღესაც აქტიურად ხორციელდება. გლობალური ინიციატივა მოუწოდებს წევრი ქვეყნების ხელისუფლებებს, უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის ღიაობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საზოგადოების აქტიური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გაზრდის მიზნით, აუცილებელია კომიტეტის ვებ-გვერდის რეგულარული განახლება. კომიტეტი

გაითვალისწინებს OGP-ის ფარგლებში შემუშავებული ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმებით გაწერილ ვალდებულებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს კომიტეტის მუშაობის მეტ გამჭვირვალობასა და საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას. ამ პრინციპების დაცვა გააუმჯობესებს კომიტეტის საქმიანობის როგორც საბოლოო შედეგებს, ასევე საზოგადოების ცნობიერებაში ამაღლებს კომიტეტის როლს.

ამოცანა 3.2. კომიტეტის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, აკადემიური წრეების ჩართულობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება.

კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან, აკადემიურ და სამეცნიერო ინსტიტუტებთან, მათი გამოცდილების გამოყენება და ფერმერთა გაერთიანებებთან თანამშრომლობა გამოავლენს იმ პრობლემებს, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დგას. იგი გაადვილებს მათი გადაჭრის გზების დასახვას.

სამოქალაქო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება და გაუმჯობესება კომიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. კომიტეტი რეგულარულად მოაწყობს მათთან შეხვედრებს, რათა სამოქალაქო ორგანიზაციებს საშუალება მიეცეთ ინტერაქტიული მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული საკითხების განხილვებში და შეაფასონ შედეგები.

საკანონმდებლო საკითხების მომზადებისა და განხილვის პროცესში კომიტეტის თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან საშუალებას იძლევა საკანონმდებლო საქმიანობა განხორციელდეს ეფექტურად.

კომიტეტი პერიოდულად განახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების ალიანსის ჯგუფებთან თანამშრომლობას სასურსათო უსაფრთხოების, მიწათსარგებლობის, კოოპერატივების განვითარების საკითხებზე, მათი კვლევის შედეგებისა და საკანონმდებლო ინიციატივების განხილვების ორგანიზებას, კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამების ლობირებას დონორ ორგანიზაციებთან და სხვ.

არსებობს კომიტეტის წარმატებული კომუნიკაცია და პარტნიორული ურთიერთობების გამოცდილება საერთაშორისო დონორებთან. ეს შესაძლებლობები იქნება გამოყენებული მომავალშიც. კომიტეტი უზრუნველყოფს შეხვედრების ორგანიზებას საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის მიზნით და გამოიყენებს ევროპისა და სხვა ქვეყნების საპარლამენტო კომიტეტებთან კავშირებს ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებისათვის.

ამოცანა 3.3. აგრარულ სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და განათლების ხელშეწყობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით

საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია მოქალაქეებისა და ბიზნესის ცნობიერების ამაღლება ევროკავშირთან

ჰარმონიზირების და მისი მოთხოვნების შესრულების შედეგად მიღებული სარგებლის შესახებ. ამ მიზნით კომიტეტი გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

კომიტეტი ზრუნავს იმისათვის, რომ განვითარდეს საგანმანათლებლო საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში. ამ მიზნით რეგულარულად აწყოებს შეხვედრებს, ხელს უწყობს ფერმერების პროფესიულ განვითარებას, დუალური განათლების პროგრამების დანერგვას და სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული კოლეჯების დაარსებას.

კომიტეტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად იზრუნებს იმისათვის, რომ გაძლიერდეს ფერმერების ინფორმირებულობა სოფლის მეურნეობის გაძლიერებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების, აგრეთვე სოფლის ტერიტორიებზე წყლის, მიწის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესების საკითხებზე.

სტრატეგიული მიზანი 4. კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფა

ამოცანა 4.1. კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობის მართვის სრულყოფა

ორგანიზაციული მართვის სრულყოფა ხელს შეუწყობს კომიტეტის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად განხორციელებას. ამ მიზნით პერიოდულად განხორციელდება ორგანიზაციული განვითარების შეფასება სხვადასხვა მაჩვენებლით (სხდომებზე დასწრება, საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის მენეჯმენტი, კოორდინაციის ეფექტიანობა, კადრების განვითარება, დისციპლინა, დოკუმენტბრუნვა და სხვ.) და გაგრძელდება მისი შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები.

ამოცანა 4.2. შიდა ადამიანური რესურსების განვითარება კომიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის

კომიტეტი ხელს შეუწყობს კომიტეტის აპარატის კადრების განვითარებას, მათ ტრენინგებს, მივლინებებს სხვადასხვა ქვეყანაში გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ., რათა ამაღლდეს კვალიფიკაცია ევროკავშირთან ინტეგრაციის და სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა თემატურ საკითხებში.

კომიტეტის წევრების მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის თემატურ შეხვედრებზე, კონფერენციებზე, სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის და სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად დაეხმარება გამოცდილების გაზიარების დანერგვას საკანონმდებლო და საზედამხედველო სფეროებში.

და ბოლოს, კომიტეტის საქმიანობის 2019 წლის სამოქმედო გეგმა დაექვემდებარება ყოველწლიურ მონიტორინგს, რომლის მიზანია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული

ამოცანების შესრულების ანალიზის შედეგად შემდგომი მოქმედების კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელია კომიტეტის თავმჯდომარე. მის ორგანიზაციას ახდენს კომიტეტის აპარატი.

სამოქმედო გეგმა განხორციელდება როგორც მთავრობასთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით. საკანონმდებლო ინიციატივების წარმოდგენისა და ზედამხედველობის პროცესში მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებები შეიძლება გადავადდეს გარკვეული პერიოდით, რაც მოითხოვს პერიოდულად გეგმებში კორექტირების შეტანას.

გეგმების განხორციელებაში ჩართულია აპარატის ყველა თანამშრომელი, რომელსაც ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. იგი პასუხისმგებელია თანამშრომლების საქმიანობაზე, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კოორდინაციაზე და მათ ჩართულობაზე კომიტეტის საქმიანობაში. კომიტეტი აქვეყნებს საქმიანობის ანგარიშს პარლამენტის ვებ-გვერდზე. წელიწადში ერთხელ მოხდება კომიტეტის საქმიანობის შესრულებისა და მომავალი გეგმების წარდგენა პარლამენტის წინაშე და ფართო საზოგადოების ინფორმირება.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა (2019)

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა

სტრატეგიული მიზანი 1. აგრარული პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა

ამოცანა 1.1. აგრარული რეფორმების ინსტიტუციონალიზაცია

| აქტივობა/დონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასა და მდგარდი განვითარების მიზნებთან | პასუხისმგებელი პირი | | სხვა მონაწილე მხარე | განხორციელების პერიოდი | ინდიკატორი | შენიშვნა |
|--|--|---------------------|-----------------------|--|--------------------------------------|---|---|
| | | კომიტეტის წევრი | აპარატის თანამშრომელი | | | | |
| 1.1.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის განვითარების სტრატეგიებში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გამომთხოვა | | | ი.ახალბედაშვილი | საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. | წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად | ოქმები, განხილული სტრატეგიული დოკუმენტები, რეკომენდაციები | ითვალისწინებს ს ყოველწიურად სტრატეგიულ გეგმებში ცვლილებების განხილვას |
| 1.1.2. კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივების გეგმის შემუშავება | | | ი.ახალბედაშვილი | საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და | (საგაზაფხული და საშემოდგომო | ოქმები, შეხვედრების რაოდენობა, გეგმები | |

| | | | | | | | |
|--|--|--|----------------------------------|---|--|--|--|
| გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით | | | | არასამთავრობო ორგანიზაციები | სესიების დასაწყისში | | |
| 1.1.3. პარლამენტის კომიტეტებთან საკანონმდებლო გეგმების კოორდინაცია | | | ი.ახალბედაშვილი ი. ქიტიაშვილი | პარლამენტის კომიტეტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები | (საგაზაფხული და საშემოდგომო სესიების დასაწყისში) | ოქმები, შეხვედრების რაოდენობა, გეგმები | |

ამოცანა 1.2. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითა და DCFTA-ით გათვალისწინებული რეგულაციების საკანონმდებლო უზრუნველყოფა

| აქტივობა/ღონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასა და მდგარდი განვითარების მიზნებთან | პასუხისმგებელი პირი | | სხვა მონაწილე მხარე | განხორციელების პერიოდი | ინდიკატორი | შენიშვნა |
|---|--|---------------------|-----------------------|--|--------------------------------------|---|---|
| | | კომიტეტის წევრი | აპარატის თანამშრომელი | | | | |
| 1.2.1. ევროკავშირთან ჰარმონიზაციის გეგმების შესახებ მთავრობის (სამინისტროს) მოსმენა | | | ი.ახალბედაშვილი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. | წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად | ოქმები, განხილული სტარტეგიული დოკუმენტები, რეკომენდაციები | ითვალისწინებს ყოველწიურად სტრატეგიულ გეგმებში ცვლილებების განხილვას |

| | | | | | | | |
|---|--|--|---|--|--|---|--|
| <p>1.2.2. სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებისათვის საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა</p> | <p>DCFTA, დანართი IV, ნაწ. 2. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS); შესაბამემა მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს: სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> | <p>გ. ბეგაძე გ. ბუკია ბ. ღვინიაშვილი</p> | <p>ი.ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე თ. არაბული</p> | <p>საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p> | <p>წარმოდგენილი კანოპროექტების შესაბამისად</p> | <p>სხდომები, ოქმები, კანონპროექტების რაოდენობა საკანონმდებლო ცვლილებები</p> | <p>შესაბამისობა ევროდირექტივებთან იხ. დანართი 2-4: სურსათის უვნებლობის სფეროში გასატარებელი ღონისძიებები</p> |
|---|--|--|---|--|--|---|--|

| | | | | | | | |
|---|--|--|---|--|--|---|--|
| <p>1.2.3.ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებისათვის საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა</p> | <p>DCFTA, დანართი IV, ნაწ. 2. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS);</p> <p>შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს: სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> | <p>გ. ბეგაძე გ. ბუკია გ. ღვინიაშვილი</p> | <p>ი.ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე თ. არაბული</p> | <p>საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p> | <p>წარმოდგენილი კანოპროექტების შესაბამისად</p> | <p>სხდომები, ოქმები, კანონპროექტების რაოდენობა საკანონმდებლო ცვლილებები</p> | <p>ევროდირექტივებთან იხ. დანართი 3: ვეტერინარიის სფეროში გასატარებული ღონისძიებები</p> |
|---|--|--|---|--|--|---|--|

| | | | | | | | |
|--|---|--|---|--|--|---|---|
| <p>1.2.4. მცენარეთა დაცვის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებისათვის საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა</p> | <p>DCFTA, დანართი IV, ნაწ. 2. .სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS); შესაბამემა მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს: სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (იხ დანართი 11).</p> | <p>გ. ბეგაძე გ. ბუკია გ. ღვინიაშვილი</p> | <p>ი.ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე თ. არაბული</p> | | <p>წარმოდგენილი კანოპროექტების შესაბამისად</p> | <p>სხდომები, ოქმები, კანონპროექტების რაოდენობა საკანონმდებლო ცვლილებები</p> | <p>შესაბამისობა ევროდირექტივებთან იხ. დანართი 4: მცენარეთა დაცვის სფეროში გასატარებელი ღონისძიებები</p> |
|--|---|--|---|--|--|---|---|

ამოცანა 1.3. სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელებისათვის საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა

| აქტივობა/ღონისძიება | შესაბამისობა ასოციარების შეთანხმებასა და მდგარდი განვითარების მიზნებთან | პასუხისმგებელი პირი | | სხვა მონაწილე მხარე | განხორციელების პერიოდი | ინდიკატორი | შენიშვნა |
|---|---|--------------------------|---|--|---|---|----------|
| | | კომიტეტის წევრი | აპარატის თანამშრომელი | | | | |
| 1.3.1. კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობის გეგმის მომზადება | | | ი.ახალბედაშვილი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურეობის სამინისტრო | (საგაზაფხული და საშემოდგომო სესიების დასაწყისში) | დეტალური გეგმები | |
| 1.3.2. კოორდინაცია საქართველოს მთავრობასთან საკანონმდებლო ინიციატივების თაობაზე | | | ი.ახალბედაშვილი ი. ქიტაშვილი | მთავრობა | პერიოდულად, საკანონმდებლო ინიციატივების შესაბამისად | შეხვედრების რაოდენობა, ოქმები, გადაწყვეტილებები | |
| 1.3.3. ორგანული კანონის პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ | | ო.დანელია ე. თოლორაია | ი.ახალბედაშვილი გ. მარჩილიძე ს. უროტაძე თ. არაბული | მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი | საგაზაფხულო სესიის პერიოდში | პარლამენტის წევრის ო. დანელიას საკანონმდებლო ინიციატივა ოქმები | |
| 1.3.4. კანონპროექტი „მიწის მიწნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო | | ო.დანელია ე. თოლორაია | ი.ახალბედაშვილი გ. მარჩილიძე ს. უროტაძე თ. არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურეობის სამინისტრო | საგაზაფხულო სესიის პერიოდში | პარლამენტის წევრის ო. დანელიას საკანონმდებლო ინიციატივა, | |

| | | | | | | | |
|---|--|--|---|--|-----------------------------|--|--|
| დანიშნულების მიწის მდგრადი განვითარების შესახებ | | | | არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი | | ოქმები | |
| 1.3.5.კანონპროექტი „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ“ | | ო.დანელია გ.სამხარაული ე. თოლორაია | ი.ახალბედაშვილი გ. მარჩილიძე ს. უროტაძე თ. არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი | საგაზაფხულო სესიის პერიოდში | კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივა, ოქმები | |
| 1.3.6.კანონპროექტი „ფერმერული მეურნეობის განვითარების შესახებ“ | | | ი.ახალბედაშვილი გ. მარჩილიძე ს. უროტაძე თ. არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი | საშემოდგომო სესიის პერიოდში | პარლამენტის წევრის ო. დანელიას საკანონმდებლო ინიციატივა, ოქმები | |
| 1.3.7. კანონპროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ | | ი.შიოლაშვილი ო.დანელია | ი.ახალბედაშვილი გ. მარჩილიძე ს. უროტაძე თ. არაბუ | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი | საგაზაფხულო სესიის პერიოდში | პარლამენტის წევრის ო.შიოლაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, ოქმები | |

| | | | | | | | |
|--|--|---|--|--|------------------------------------|--|----------|
| <p>1.3.8.კანონპროექტი „სურსათის/ცხოველის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ</p> | | <p>ო.დანელია გ.სამხარაული გ.თოთლაძე რ.მუჩიაშვილი თ.ხუბულური ლ.დამენია</p> | <p>ი.ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე გ. მარჩილიძე თ. არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი</p> | <p>საგაზაფხულო სესიის პერიოდში</p> | <p>პ არლამენტის წევრის ო. დანელიას საკანონმდებლო ინიციატივა, ოქმები</p> | |
| <p>1.3.9. კანონპროექტი „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“</p> | | <p>ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი.მაკრახიძე თ.გუნავა</p> | <p>ი.ახალბედაშვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ. არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი</p> | <p>საგაზაფხულო სესიის პერიოდში</p> | <p>მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, ოქმები</p> | |
| <p>1.3.10. კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> | | <p>ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი.მაკრახიძე თ.გუნავა</p> | <p>ი.ახალბედაშვილი გ. მარჩილიძე ს. უროტაძე თ. არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი</p> | <p>საგაზაფხულო სესიის პერიოდში</p> | <p>მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, ოქმები</p> | <p>“</p> |

| | | | | | | | |
|--|---|---------------------------------|--|--|------------------------------------|---|--|
| <p>1.3.11.ნიადაგების რაციონალური გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა</p> | <p>შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-15 მიზანს: ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება</p> | <p>ო.დანელია ე.თოლორაია</p> | <p>ი.ახალბედაშვილი გ. მარჩილიძე ს. უროტაძე თ. არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი</p> | <p>საშემოდგომო სესიის პერიოდში</p> | <p>საკანონმდებლო ცვლილებები, ოქმები</p> | |
|--|---|---------------------------------|--|--|------------------------------------|---|--|

ამოცანა 1.4. საკანონმდებლო პროცესის ეფექტური მართვა, დაგეგმვა და მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

| აქტივობა/ლონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასა და მდგრადი განვითარების მიზნებთან | პასუხისმგებელი პირი | | სხვა მონაწილე მხარე | განხორციელების პერიოდი | ინდიკატორი | შენიშვნა |
|---------------------|--|---------------------|-----------------------|---------------------|------------------------|------------|----------|
| | | კომიტეტის წევრი | აპარატის თანამშრომელი | | | | |
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|--|--|--|---|---|---|---|--|
| 1.4.1. DCFTA ვალდებულებებთან დაკავშირებული შეხვედრების ორგანიზება და გეგმების განხილვა | | | ი.ახალბედაშვილი ი. ქიტიაშვილი (სხდომის ოქმები) | საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები | წელიწადში ორჯერ (საგაზაფხული და საშემოდგომო სესიების პერიოდში | გეგმები, კომიტეტის სხდომის ოქმები და რეკომენდაციებ ი | |
| 1.4.2. ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების/საკონსულტაცი ო საბჭოს შეხვედრები | | | ი.ახალბედაშვილი ი.ქიტიაშვილი | არასამთავრობო ორგანიზაციები აკადემიური წრეები, ექსპერტები | საჭიროების მიხედვით | ექსპერტთა შემადგენლობა, გეგმები, შეხვედრები, ოქმები, რეკომენდაციებ ი და წინადადებები | |
| 1.4.3. პარლამენტის ვებ- გვერდზე საკანონმდებლო დონისძიებების ასახვა და კონტროლი | | | ი.ქიტიაშვილი (კომიტეტის სხდომები და ოქმები) | ინფორმაციული ტექნოლოგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტები | რეგულარულად | ოქმები, ვებ-გვ. | |

კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა

სტრატეგიული მიზანი 2. ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოება/ჰარმონიზირებასა - და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და კანონმდებლობის აღსრულების პროცესის ხელშეწყობა

ამოცანა 2.1. საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი

| აქტივობა/ღონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასა და მდგარდი განვითარების მიზნებთან | პასუხისმგებელი პირი | | სხვა მონაწილე მხარე | განხორციელების პერიოდი | ინდიკატორი | შენიშვნა |
|--|--|---|---|---|--|--|----------|
| | | კომიტეტის წევრი | აპარატის თანამშრომელი | | | | |
| 2.1.1.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ | | ო. დანელია გ.სამხარაული ი. შიოლაშვილი | ი. ახალბედაშვილი რ.ქუთათელაძე თ.არაბული | საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები | (საგაზაფხული და საშემოდგომო სესიები პერიოდში) | ოქმები, შეხვედრების რაოდენობა, გეგმები | |
| 2.1.2 ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით პარლამენტის კომიტეტებთან კოორდინაცია | | ო. დანელია | ი. ახალბედაშვილი | პარლამენტის კომიტეტები და არასამთავრობო ორგანიზაციები | (საგაზაფხული და საშემოდგომო სესიების პერიოდში) | ოქმები, შეხვედრების რაოდენობა, გეგმები | |

| | | | | | | | |
|---|---|--|--|---|--|--|--|
| <p>2.1.3. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის და სხვა კომიტეტთან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ერთობლივი განხილვების ორგანიზება</p> | | <p>ო. დანელია</p> | <p>ი. ახალბედაშვილი</p> | <p>პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p> | <p>პერიოდულად</p> | <p>შეხვედრები, ოქმები, ანგარიშების რაოდენობა</p> | <p>განხილვები ჩატარდება კომიტეტების სამოქმედო გეგმების შესაბამისად</p> |
| <p>2.1.4. სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა</p> | <p>საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების XI-B დანართი, განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებით (№1/2017, 2017 წლის 7 მარტი); შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს</p> | <p>გ. ბეგაძე გ. ბუკია გ. ღვინიაშვილი</p> | <p>ი. ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე თ. არაბული</p> | <p>საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p> | <p>ყოველწლიურად, სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებით ევროკავშირთან რეგულაციების მიახლოების სიის შესაბამისად (იხ: დანართი 2-4).</p> | <p>ოქმები, ანგარიშების რაოდენობა, რეკომენდაციები</p> | <p>სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირთან ვალდებულებების განხორციელება ა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყოველწლიურ ანგარიშში აისახება</p> |

| | | | | | | | |
|---|--|--|--|---|--|--|---|
| <p>2.1.5.ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა</p> | <p>ასოცირების შეთანხმების XI-B დანართი, განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებით (№1/2017, 2017 წლის 7 მარტი) შესაბამება მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს: სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> | <p>გ. ბეგაძე გ.ბუკია გ.ღვინიაშვილი</p> | <p>ი. ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე თ. არაბული</p> | <p>საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p> | <p>ყოველწლიურად, სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებით ევროკავშირთან რეგულაციების მიახლოების სიის შესაბამისად (იხ: დანართი 3).</p> | <p>ოქმები, ანგარიშების რაოდენობა, რეკომენდაციები</p> | <p>ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირთან ვალდებულებების განხორციელება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყოველწლიურ ანგარიშში აისახება</p> |
| <p>2.1.6.მცენარეთა დაცვის სფეროში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ</p> | <p>ასოცირების შეთანხმების XI-B დანართი, განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებით</p> | <p>გ. ბეგაძე გ.ბუკია გ.ღვინიაშვილი</p> | <p>ი. ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე თ. არაბული</p> | <p>საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> | <p>ყოველწლიურად, სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებით</p> | <p>ოქმები, ანგარიშების რაოდენობა, რეკომენდაციები</p> | <p>მცენარეთა დაცვის სფეროში ევროკავშირთან ვალდებულებების განხორციელება გარემოს დაცვისა და</p> |

| | | | | | | | |
|--|--|--|---|---|--|-------------------------------|--|
| <p>მთავრობის ანგარიშის მოსმენა</p> | <p>(№1/2017, 2017 წლის 7 მარტი) შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს: სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> | | | <p>საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p> | <p>ევროკავშირთან რეგულაციების მიახლოების სიის შესაბამისად (იხ: დანართი 4).</p> | | <p>სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყოველწლიურ ანგარიშში აისახება</p> |
| <p>2.1.7. ENPARD საორგანიზაციო კომიტეტთან შეხვედრა და პროექტის საბოლოო ანგარიშის მოსმენა</p> | | <p>გ. ბეგაძე გ. ბუკია გ. ღვინიაშვილი</p> | <p>ი. ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე</p> | <p>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები</p> | <p>2019 წლის საშემოდგომო სესია</p> | <p>ოქმები, რეკომენდაციები</p> | |

ამოცანა 2.2. სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიებით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელების შეფასება

| აქტივობა/ლონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასა და მდგრადი განვითარების მიზნებთან | პასუხისმგებელი პირი | | სხვა მონაწილე მხარე | განხორციელების პერიოდი | ინდიკატორი | შენიშვნა |
|--|--|---|--|---|--|--|----------|
| | | კომიტეტის წევრი | აპარატის თანამშრომელი | | | | |
| 2.2.1. სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების საზედამხედველო გეგმის მომზადება | | | ი. ახალბედაშვილი | საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები | საგაზაფხული და საშემოდგომო სესიების დასაწყისში | გეგმები | |
| 2.2.2. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და პროგრამების შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა | შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-2 მიზანს, (იხ. დანართი 5) | გ. სამხარაული, გ. თოთლაძე, რ. მუჩიაშვილი, გ. ჩანქსელიანი, თ. ხუბულური | აპარატის თანამშრომლები, ი. ქიტიაშვილი (ოქმები) | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამთავრობო, არასამთავრობო, ფერმერული და საერთაშორისო ორგანიზაციები | საგაზაფხული და საშემოდგომო სესიების პერიოდში | ოქმები, სხდომების რაოდენობა, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები | |

| | | | | | | | |
|--|--|---|---|---|-----------------------|---|--|
| სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის მდგომარეობის შესახებ | | ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი. მაკრახიძეთ.გუნავა | ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პროექტების მართვის სააგენტო, სადაზღვევო კომპანიები | (საშემოდგომო სესიაზე) | ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი, | |
|) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ | | ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი. მაკრახიძეთ.გუნავა | ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/ს/ს კოოპერატივების განვითარების სააგენტო | (საგაზაფხულო სესიაზე) | ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი, | |
|) საქართველოს მელიორაციის კომპანიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ | | ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი.მაკრახიძე თ.გუნავა | ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს საქართველოს მელიორაცია | (საგაზაფხულო სესიაზე) | ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი, | |

| | | | | | | | |
|---|--|---|---|--|---|---|--|
| <p>ს) შპს „მექანიზატორი ს“ მიერ გაწეული საქმიანობის ეფექტურობის შესახებ</p> | | <p>ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი.მაკრახიძე თ.გუნავა</p> | <p>ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს მექანიზატორი</p> | <p>(საგაზაფხული სესიაზე)</p> | <p>ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი,</p> | |
| <p>2.2.3. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში გაწეული საქმიანობის შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა</p> <p>ს) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შესახებ</p> <p>ს) ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შესახებ</p> | | <p>გ. სამხარაული გ.თოთლაძე რ. მუჩიაშვილი თ. ხუბულური ლ. დამენია</p> | <p>აპარატის თანამშრომლები ი. ახალბედაშვილი რ. ქუთათელაძე</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო,</p> | <p>(საგაზაფხული სესიაზე)</p> <p>(საგაზაფხული სესიაზე)</p> | <p>ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი,</p> <p>ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი,</p> | |

| | | | | | | | |
|--|--|---|--|--|-----------------------|---|--|
|) მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობის შესახებ | | გ. სამხარაული გ.თოთლაძე რ. მუჩიაშვილი თ. ხუბულური ლ. დამენია | ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, | (საგაზაფხული სესიაზე) | | |
| 2.2.4. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ | | გ. სამხარაული გ.თოთლაძე რ. მუჩიაშვილი თ. ხუბულური ლ. დამენია | ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია | (საგაზაფხული სესიაზე) | ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი, | |
| 2.2.5 სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელებების ეფექტურობის შესახებ | | გ. სამხარაული გ.თოთლაძე ე.თოლორაია რ. მუჩიაშვილი გ.ჩანქსელიანი თ. ხუბულური | ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი | (საშემოდგომო სესიაზე) | ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი, | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|--|------------------------------|--|--|
| <p>2.2.6 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ</p> | | <p>ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი.მაკრახიძე თ.გუნავა</p> | <p>ი.ახალბედა შვილი ს. უროტაძე გ. მარჩილიძე თ.არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო</p> | <p>(საგაზაფხული სესიაზე)</p> | <p>ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი,</p> | |
| <p>2.2.5.მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის სფეროში გაწეული საქმიანობის შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა</p> | | <p>გ. სამხარაული გ.თოთლაძე ე.თოლორაია რ. მუჩიაშვილი გ.ჩანქსელიანი თ. ხუბულური</p> | <p>ი.ახალბედა შვილი გ. მარჩილიძე რ. ქუთათელაძე ს. უროტაძე თ.არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო</p> | <p>(საშემოდგომო სესიაზე)</p> | <p>ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი,</p> | |
| <p>2.2.5. სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა</p> | <p>შეესაბამებ ამდგრადი განვითარებისპირველ მიზანს, (იხდანართი 5)</p> | <p>ი.შიოლაშვილი გ.ბუკია ს.მანუკიანი ი.მაკრახიძე თ.გუნავა</p> | <p>ი.ახალბედა შვილი გ.მარჩილიძე რ.ქუთათელაძე ს. უროტაძე თ.არაბული</p> | <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები</p> | <p>(საშემოდგომო სესიაზე)</p> | <p>ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, სხდომის ოქმი,</p> | |

| | | | | | | | |
|---|--|---|---|---|----------------------|---|--|
| 2.2.6 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა (6 თვის შედეგები) | | ო. დანელია გ.სამხარაული ი. შიოლაშვილი | ი.ახალბედა შვილი გ.მარჩილიძე რ.ქუთათე ლაძე ს. უროტაძე თ.არაბული | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | საგაზაფხულო სესიებზე | ჩატარებული სხდომები, შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები, წინადადებები, სხდომის ოქმი, | |
|---|--|---|---|---|----------------------|---|--|

ამოცანა 2.3. საბიუჯეტო ზედამხედველობის უზრუნველყოფა

| აქტივობა/ღონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასა და მდგარდი განვითარების მიზნებთან | პასუხისმგებელი პირი | | სხვა მონაწილე მხარე | განხორციელების პერიოდი | ინდიკატორი | შენიშვნა |
|--|--|---------------------------|-----------------------|--|--------------------------------|--|----------|
| | | კომიტეტის წევრი | აპარატის თანამშრომელი | | | | |
| 2.3.1. სახელმწიფო ბიუჯეტის პირითადი მიმართულებების განხილვა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების | | ო.დანელია ი. მაკრახიძე | ი. ახალბედაშვილი | ფინანსთა სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საბიუჯეტო ოფისი | ყოველწლიურად საგაზაფხულო სესია | ოქმები, წინადადებები, რეკომენდაციები ვებ-გვ-ზე გამოქვეყნებული და გავრცელებული ინფორმაცია | |

| | | | | | | | |
|---|---|--------------------------|---------------------|---|-------------------------------------|--|--|
| სტრატეგიებთან შესაბამისობაში | | | | | | | |
| 2.3.2. სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური პროექტების განხილვა | შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს, (იხ. დანართი 5). | ო.დანელია ი.მაკრახიძე | ი. ახალბედაშვილი | ფინანსთა სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საბიუჯეტო ოფისი, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, | საშემოდგომო სესია | ოქმები, წინადადებები, რეკომენდაციები ვებ-გვ-ზე გამოქვეყნებული და გავრცელებული ინფორმაცია | |
| 2.3.3. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური და კვარტალური ანგარიშების მოსმენა | | ო.დანელია ი.მაკრახიძე | ი. ახალბედაშვილი | ფინანსთა სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საბიუჯეტო ოფისი სახელმწიფო აუდიტის სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციები | საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე | ოქმები, წინადადებები, რეკომენდაციები ძირითადი საბიუჯეტო სახსრების მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენების მაჩვენებლები, ვებ-გვ-ზე ინფორმაცია | |

| | | | | | | | |
|---|--|----------------------------------|------------------------|---|---|--|--|
| <p>2.3.4.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის ანგარიშების მოსმენა გეგმის მიხედვით</p> | <p>შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს (იხ. დანართი 5).</p> | <p>ო.დანელია ი.მაკრახიძე</p> | <p>ი.ახალბედაშვილი</p> | <p>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აუდიტის სამსახური</p> | | <p>ოქმები, წინადადებები, რეკომენდაციები</p> | |
